შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი II სტანდარტთან მიმართებაში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის „28“ „სექტემბერს“ ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც მოდულური სწავლების პრობლემების იდენტიფიცირების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შექმნის მიზნით ამოცანად ისახავდა მოდულური სწავლებისა და ცალკეული მოდულების შესახებ პროფესიულ სტუდენთა აზრის შესწავლას.

კითხვარი შედგებოდა ზოგადი ინფორმაციის ნაწილისგან (A) და პროფესიული პროგრამების შემდგომი განვითარების საკითხთან დაკავშირებული შინაარსობრივი ნაწილისგან (B), რომელიც დახურული კითხვებისგან შემდგარ 7 ბლოკს მოიცავდა. კითხვარის ბოლოს გამოკითხვაში მონაწილე პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ღიად გამოეთქვათ კოლეჯისთვის საგულისხმო მოსაზრებები და შენიშვნები, რომელთა დაფიქსირების საშუალებას არ იძლეოდა კითხვარის ძირითადი ნაწილი.

გამოკითხვა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და მასში მონაწილეობდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პრაოგრამის „აღმზრდელი“ 9 პროფესიული სტუდენტი.

კვლევის შეზღუდვა განპირობებულია გამოკითხვაში მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლით და იმით, რომ გამოკითხულთა აბსოლურურმა უმრავლესობამ არ ისარგებლა შესაძლებლობით ღიად დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება და შენიშვნები კითხვარის დასკვნით ნაწილში.

კვლევის შედეგები სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება მოდულური სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მიზნით.

კვლევის შედეგების თანახმად გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროფესიული პროგრამები, რომლებიც კოლეჯში ხორციელდება შეესაბამება რეგიონის ბაზრის მოთხოვნებს და, რომ კოლეჯი კარგად ამზადებს მათ დასაქმებისთვის. გამოკითხულთა 100% თვლის, რომ პროფესიები, რომლებიც კოლეჯში ისწავლება მომავალ წლებშიც აქტუალური იქნება ადგილობრივი ბაზრისთვის. გამოკითხულთა შორის მხოლოდ ერთის (11%) აზრით რეგიონის ბაზრითვის არსებობს ბევრი მოთხოვნადი პროფესია, რომელიც კოლეჯში არ ისწავლება, 2 (22%) გამოკითხული სტუდენტი კი აფიქსირებს, რომ კოლეჯის მიერ

პროგრამათა შემოთავაზება შეზღუდულია, რაც არ იძლევა სასურველი პროფესიის არჩევის თავისუფალ საშუალებას.

B.1.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	პროფესიები, რომლებიც დაწესებულებაში ისწავლება შეესაბამება რეგიონის /მუნიციპალიტეტის ბაზრის მოთხოვნებს	3 (33%)	6 (67%)			
2	კოლეჯის პროგრამები კარგად ამზადებენ პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებისთვის	5 (56 %)	4 (44 %)			
3	არსებობს რეგიონისთვის/ მუნიციპალიტეტის ბაზრისთვის ბევრი მოთხოვნადი პროფესია, რომელიც ამ დაწესებულებაში არ ისწავლება		8 (89 %)		1 (11 %)	
4	იმ პროფესიებზე, რაც დაწესებულებაში ისწავლება, მოთხოვნა რეგიონში /მუნიციპალიტეტში იქნება მომავალ წლებშიც	1 (11 %)	8 (89 %)			
5	ყველა პროგრამისთვის, რაც დაწესებულებაში ისწავლება, რეგიონში/მუნიციპალიტეტში მოქმედებს შესაბამისი დარგის რამდენიმე საწარმო/კომპანია მაინც		9 (100 %)			
6	იძულებული ვიყავი ჩამებარებინა ამ პროგრამაზე, რადგან ჩემთვის საინტერესო სხვა არჩევანს დაწესებულება არ/ვერ მთავაზობდა		2 (22 %)		7 (78 %)	

გამოკითხულები ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ პროგრამა, რომელსაც კოლეჯში შეისწავლიან, ეხმარება მათ დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაში. ასევე ერთსულოვნები არიან გამოკითხული სტუდენტები იმ მოსაზრებაში, რომ პროგრამის გავლის შემდგომ ისინი შეძლებენ დასაქმებას, რადგან ინფორმირებულები არიან რეგიონში იმ დამსაქმებელი ობიექტების არსებობის შესახებ, რომელთა საქმიანობის პროფილს კოლეჯში შეძენილი სპეციალობა შეესაბამება. მნიშვნელოვანის, რომ ყველა გამოკითხული სრულად ეთანხმება (44 %) ან ეთანხმება (56 %) პროგრამა, რომელზეც სწავლობენ დაეხმარება მათ პიროვნული ინტერესების რეალიზებაში.

კითხვაზე - „აქვს თუ არა პროგრამას რელევანტური წინაპირობა“ მხოლოდ ერთმა (11%) სტუდენტმა დააფიქსირა პასუხი: „მიჭირს პასუხის გაცემა“.

B.2

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	ამ პროგრამის გავლის შემდეგ, შევძლებ დასაქმებას	3 (33%)	6 (67%)			
2	ვიცი რამდენიმე საწარმო/კომპანია, რომელიც იმ დარგში მოღვაწეობს რეგიონში, რომელზეც ამჟამად ვსწავლობ	2 (22 %)	7 (78 %)			
3	ეს პროგრამა მეხმარება იმ უნარების განვითარებაში, რომელიც დასაქმებაში დამეხმარება	5 (56 %)	4 (44 %)			
4	ეს პროგრამა ჩემი პიროვნული ინტერესების რეალიზებაში მეხმარება	4 (44 %)	5 (56 %)			
5	პროგრამას აქვს რელევანტური წინაპირობები	2 (22 %)	6 (67%)	1 (11 %)		

დახურულ კითხვათა მე-3 ბლოკის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ პროგრამა, რომელსაც სტუდენტები კოლეჯში ეუფლებიან, მათი აზრით, შინაარსობრივად გამართულია, ვინაიდან, როგორც გამოკითხულები თვლიან პროგრამა მათეხმარება ეხმარება დასაქმებასა და თვითდასაქმებისთვის სჭირო კომპეტენციების განვითარებაში.

გამოკითხვაში მონაწილე მხოლოდ ერთ სტუდენტს (11%) გაუჭირდა იმის შეფასება, თუ რამდენად რელევანტურია მისი პროფესიისთვის პროყველა არჩევითი მოდული.

გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ სტუდენტების გარკვეული ნაწილი ყოველთვის როდია დარწმუნებული ზოგიერთი მოდულის სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი **B.3.**). გამოკითხულთა ნაწილს კი უჭირს პასუხის გაცემა (22%), ან მიიჩნევს (11%), რომ უცხოური ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე არ არის საკმარისი უცხოური ენის მოდულის ასათვისებლად. გამოკითხულთა მცირე პროცენტს უჭირს პასუხი პროგრამის ხანგრძლივობასა და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ფართო თუ ვიწრო კვალიფიკაციას იძლევა პროგრამის ათვისება (იხ. ცხრილი **B.3.**).

B.3.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	ეს პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების განვითარებაში, რომელიც მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის	3 (33%)	6 (67%)			
2	ეს პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების განვითარებაში, რომელიც დამეხმარება	1 (11 %)	8 (89 %)			

	თვითდასაქმებაში					
3	ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც აქტუალური/მნიშვნელოვანია ამ პროფესიისთვის	2 (22 %)	7 (78 %)			
4	პროგრამაში შემავალი ყველა სავალდებულო მოდული პროფესიისთვის რელევანტურია	2 (22 %)	7 (78 %)			
5	პროგრამაში შემავალი ყველა არჩევითი მოდული პროფესიისთვის რელევანტურია	1 (11 %)	7 (78 %)	1 (11 %)		
6	ზოგიერთი მოდულის სწავლებაზე ზედმეტად დიდი დროა დათმობილი		5 (56 %)	2 (22 %)	2 (22 %)	
7	ზოგიერთი მოდულის სწავლებაზე მეტისმეტად მცირე დროა დათმობილი			1 (11 %)	8 (89 %)	
8	უცხოური ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე არ არის საკმარისი უცხოური ენის მოდულის ასათვისებლად		1 (11 %)	2 (22 %)	6 (67%)	
9	უცხოური ენის მოდულის სწავლებაზე ზედმეტად დიდი დროა დათმობილი			3 (33%)	6 (67%)	
10	უცხოური ენის მოდულის სწავლებაზე მეტისმეტად მცირე დროა დათმობილი	1 (11 %)	1 (11 %)	2 (22 %)	5 (56 %)	
11	მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის დალაგებული (რომელი მოდული უნდა გავიარო პირველ ჯერზე და რომელი შემდგომ)	3 (33%)	5 (56 %)		1 (11 %)	
12	პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს		8 (89 %)		1 (11 %)	
13	პროგრამის ხანგრძლივობა ზედმეტად გაწელილია			1 (11 %)	8 (89 %)	
14	პროგრამის ხანგრძლივობა მეტისმეტად მოკლეა			1 (11 %)	8 (89 %)	
15	პროგრამა/კვალიფიკაცია ზედმეტად ვიწროა			1 (11 %)	8 (89 %)	
16	პროგრამა/კვალიფიკაცია ზედმეტად ფართოა			2 (22 %)	7 (78 %)	

შემდეგი ბლოკის კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯში პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს (იხ. ცხრილი **B.4.**). მხოლოდ 2 (22%) სტუდენტს გაუჭირდა პასუხი იმაზე, თუ რამდენად ოპტიმალურია ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა.

B.4.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა ოპტიმალურია	2 (22 %)	5 (56 %)	2 (22 %)		
2	ჩემთვის არსებული ცხრილი მისაღებია	2 (22 %)	7 (78 %)			
3	ჩემთვის არსებული სასწავლო ცვლები მისაღებია	2 (22 %)	7 (78 %)			
4	პროგრამის ყველა სტუდენტი შეძლებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	2 (22 %)	7 (78 %)			
5	პროგრამაზე ისეთი სტუდენტები მოხვდნენ, რომლებიც ვერ შეძლებენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	2 (22 %)			7 (78 %)	

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტების აზრით კოლეჯში მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება ხდება მიზანშეწონილად და ოპტიმალურად. მხოლოდ 2 (22%) გამოკითხულის აზრით სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სტუდენტებისთვის მიუწვდომელი, გამოკითხულთა იგივე (22%) პროცენტს უჭირს პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ბიბლიოთეკაში მისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების მოძიება (იხ. ცხრილი **B.5.**). თითო-თითო პროცენტს გაუჭირდა პასუხი სასწავლო გრაფიკთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამართულობასთან, ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ოდენობასთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი **B.5.**).

B.5.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, სწავლების პროცესში გამოსაყენებლად უვარგისია				9 (100 %)	
2	მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სწავლებისას, სტუდენტებისთვის მიუწვდომელია		2 (22 %)		7 (78 %)	
3	სწავლებისთვის საჭირო რესურსები ხშირად სახლიდან მოგვაქვს				9 (100 %)	
4	სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური			1 (11 %)	8 (89 %)	

	რესურსები არაორგანიზებულად არის განთავსებული					
5	სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხშირად გაფუჭებულია			1 (11 %)	8 (89 %)	
6	ბიბლიოთეკაში მიჭირს ჩემთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების მოძიება			2 (22 %)	7 (78 %)	
7	სასწავლო გრაფიკია ისეა დაგეგმილი, რომ სხვადასხვა ჯგუფს გვიწევს ერთად მუშაობა			1 (11 %)	8 (89 %)	
8	ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო რესურსები იმდენად მწირია, რომ ველოდები როდის დააბრუნებენ წიგნებს/მასალებს სხვა სტუდენტები			1 (11 %)	8 (89 %)	

კითხვარის მე-6 ბლოკის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ კოლეჯში პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგების მოღვაწეობას. პროფესიული მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ თითოეული სტუდენტის მიერ ახალი მასალის ათვისების ხარისხს, სტუდენტის მიერ ძველი მასალიდან მიღებული ცოდნის გამოყენებას ახალი მასალის ათვისებაში, აგრეთვე ახალი მასალის თეორიული ცოდნის განმტკიცებას შესაბამისი პრაქტიკული დავალებების მიცემით. მხოლოდ ერთ სტუდენტს (11%) გაუჭირდა ეპასუხა, თუ რამდენად უკავშირებს პროფესიული მასწავლებელი ახალ მასალას სტუდენტების მიერ ადრე შეძენილ ცოდნას.

გამოკითხვიდან ჩანს, რომ პროფესიული მასწავლებლები ითვალისწინებენ თითოეული სტუდენტის სწავლის სტილს და ინტერესდებიან იმით, თუ რისი შესწავლა აინტერესებს მათ.

გამოკითხულ სტუდენტების აზრით კოლეჯის პედაგოგები ცდილობენ მარტივად ახსნან მასალა და მიმართავენ სხვსდსხვს ხერხს (მასალის თეორიული ახსნა, სტუდენტების დისკუსიებში ჩართვა, პრეზენტაციების გამართვა, ფოტო და ვიდეომასალის გამოყენება, პრაქტიკულ სამუშაოს შესრულება და ა.შ.) სწავლების ეფექტიანობის ასამაღლებლად (იხ. ცხრილი **B.6.**).

B.6.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	ახალი მასალის ახსნის შემდეგ, პრაქტიკულ სამუშაომდე, მასწავლებელი ცდილობს დარწმუნდეს, რომ ყველა	2 (22 %)	7 (78 %)			

	მოსწავლემ გაიგო ახალი მასალა და შეუძლიათ სამუშაოს შესრულება					
2	მასწავლებელი ითვალისწინებს ჩემი სწავლის სტილს - როგორ უფრო მიადვილდება მასალის ათვისება 20		9 (100 %)			
3	ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი კითხვებს გვისვამს, რათა დარწმუნდეს ყველაფერი ნამდვილად კარგად გავიგეთ თუ არა		9 (100 %)			
4	მასწავლებელი ცდილობს ახალი საკითხით პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით დაგვაინტერესოს		9 (100 %)			
5	ახალი სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი მოგვიწოდებს გამოვიყენოთ წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება		9 (100 %)			
6	ახალი სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი ჯერ თავად ასრულებს მას და შემდეგ საშუალებას გვაძლევს ჩვენ შევასრულოთ	1 (11 %)	8 (89 %)			
7	მასწავლებელი ახალ მასალას ჩვენ მიერ ადრე შეძენილ ცოდნას უკავშირებს		8 (89 %)	1 (11 %)		
8	ახალი მასალის ახსნამდე ან ახალი სამუშაოს შესრულებამდე მასწავლებელი ცდილობს ჯერ მისით დაგვაინტერესოს	1 (11 %)	8 (89 %)			
9	ახალი სამუშაოს და სწავლამდე, მასწავლებელი გვეკითხება, ჩვენი აზრით, როგორ სრულდება ის	1 (11 %)	8 (89 %)			
10	ახალ სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი მუდმივად გვაკვირდება და გვაძლევს რჩევებს	1 (11 %)	8 (89 %)			
11	მასწავლებელი ითვალისწინებს ჩვენ ინტერესებს და ცდილობს, გვასწავლოს ის საკითხები/შეგვასრულებინოს ის სამუშაოები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს	2 (22 %)	7 (78 %)			
12	ახალი საკითხის ახსნამდე, მასწავლებელი გვეკითხება რას ვფიქრობთ ამ საკითხის შესახებ	1 (11 %)	8 (89 %)			

13	მასწავლებელი რთულ საკითხებსაც მარტივად გვიხსნის	1 (11 %)	8 (89 %)			
14	ახალი საკითხის ახსნამდე, მასწავლებელი გვეკითხება რა ვიცით მის შესახებ		9 (100 %)			
15	თუ რამეს ვერ ვიგებთ მასწავლებელი ცდილობს სხვანაირად აგვიხსნას	1 (11 %)	8 (89 %)			
16	ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს (თეორიულად ხსნის მასალას, გვრთავს დისკუსიებში, გვიტარებს პრეზენტაციას, გვთავაზობს ფოტო ან ვიდეომასალას, ვასრულებთ პრაქტიკულ სამუშაოს და ა.შ.)		9 (100 %)			
17	თეორიული მასალის ახსნის შემდეგ, მასწავლებელი გვაჩვენებს როგორ სრულდება ის რეალურ სამუშაო სიტუაციაში		9 (100 %)			
18	მასწავლებელი, მანამდე ხსნის მასალას, სანამ ყველა მოსწავლე არ გაიგებს	1 (11 %)	8 (89 %)			
19	ახალი მასალის ახსნამდე, მასწავლებელი გვეკითხება, შეგვისრულებია თუ არა ის როდესმე		9 (100 %)			
20	ახალი საკითხის ახსნისას, მასწავლებელი გვეკითხება რის შესწავლა გვსურს		9 (100 %)			

პროფესიული მასწავლებლის მიერ დაკვირვების, უკუკავშირისა და შეფასების შესახებ შედგენილ კითხვებზე პასუხებიც მეტყველებენ სტუდენტების მიერ კოლეჯში მოღვაწე პედაგოგების მაღალ შეფასებაზე. სტუდენტები გრძნობენ, რომ მასწავლებლები დაინტერესებულები არიან სტუდენტთა მიერ სწავლების მაღალი შედეგების მიღებით, ხელს უწყობს მათ სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში, ცდილობს მათ მიერ თავიანთი ძლიერი მხარეების გაცნობიერებაში და განვითარებაში, აკვირდება სტუდენტების მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს, ერთმანეთთან ადარებს წინარე და ახალი სწავლის შედეგებს, სამართლიანად და ობიექტურად აფასებს სტუდენტების სწავლის შედეგებს. (იხ. ცხრილი **B.7.**).

B.7.

№	კითხვები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
1	მასწავლებლისთვის მხოლოდ		6		3	

	ჩვენი მაქსიმალური ძალისხმევით შესრულებული დავალებაა მისაღები		(67%)		(33 %)	
2	სტუდენტები ვაფასებთ ერთმანეთის სამუშაოს და აზრს გამოვთქვამთ ერთმანეთის შესრულებულ სამუშაოზე		9 (100 %)			
3	ვგრძნობ, რომ მასწავლებელი დაინტერესებულია თითოეული სტუდენტის სწავლით		9 (100 %)			
4	მასწავლებელი რთულ დავალებაზე მუშაობისას დანებების უფლებას არ გვაძლევს და ცდილობს გამამხნევოს		9 (100 %)			
5	მასწავლებელი მიხსნის, რა არის ჩემი ძლიერი მხარეები და რა გამომდის კარგად	1 (11 %)	8 (89 %)			
6	მასწავლებელი აკვირდება ჩემს მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს	3 (33 %)	6 (67%)			
7	მასწავლებელი ჩემს მიღწევებს სხვა სტუდენტების მიღწევებს ადარებს	2 (22 %)	1 (11 %)	3 (33 %)	3 (33 %)	
8	მასწავლებელი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ნასწავლი მასალის შეჯამებაზე და ცდილობს, დარწმუნდეს, რომ ყველამ კარად გავიგეთ ახსნილი საკითხები	2 (22 %)	7 (78 %)			
9	მასწავლებელი გვიხსნის რა გავაკეთეთ არასწორად სამუშაოს შესრულებისას და გვაძლევენ სასარგებლო რჩევებს	2 (22 %)	7 (78 %)			
10	მასწავლებელი მეხმარება სწავლაში	2 (22 %)	7 (78 %)			
11	მასწავლებლის კომენტარები მეხმარება გავიგო როგორ შევასრულო სამუშაო უკეთ	2 (22 %)	7 (78 %)			
12	მასწავლებელი მიხსნის როგორ უნდა გავაუმჯობესეო საკუთარი შედეგები	2 (22 %)	7 (78 %)			
13	მასწავლებელი მიხსნის ჩემი რომელი მხარეები საჭიროებენ გაუმჯობესებას და განვითარებას	2 (22 %)	7 (78 %)			
14	მასწავლებელი ჩემს მიღწევებს ჩემივე წინა მიღწევებს ადარებს		8 (89 %)		1 (11 %)	
15	მასწავლებელი მიხსნის როგორი შედეგი მაქვს		9 100 %)			
16	მაქვს განცდა, რომ		9			

	მასწავლებელი სამართლიანად აფასებს ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოს		(100 %)			
17	სამუშაოს შესრულებისას მასწავლებელი მეუბნება, რა შევასრულო უკეთ და რა უნდა გამოვასწორო		9 (100 %)			
18	ჩემთვის სრულიად გასაგებია როგორ/რა კრიტერიუმებით მაფასებს მასწავლებელი		9 (100 %)			
19	ჩემთვის სრულიად მისაღებია დაწესებულებაში არსებული საგამოცდო პროცედურები		9 (100 %)			
20	ინფორმირებული ვარ როგორ ფასდება ჩემი სამუშაო		9 (100 %)			
21	ვთვლი, რომ სამართლიანად მაფასებენ		9 (100 %)			
22	მასწავლებელი ჩემ შედეგს ჯგუფში განიხილავს ჯგუფში, სხვა სტუდენტებთან ერთად		6 (67%)	2 (22 %)	1 (11 %)	

კითხვარის C. ბლოკში კვლევაში მონაწილე სტუდენტებისთვის წარმოდგენილი შესაძლებლობით ღიად გამოეთქვათ შენიშვნა თუ სურვილი კოლეჯში პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არ უსარგებლია გამოკითხულთა უმრავლესობას. მხოლოდ ერთმა სტუდენტმა დააფიქსირა კოლეჯისადმი თავისი დამოკიდებულება მოწოდების სახით „ბევრ აბიტურიენტს მოვუწოდებ ჩააბარონ ამ კოლეჯში!“

დასკვნა

ამდენად, განხორციელებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროფესიული სტუდენტები მთლიანობაში დადებითად აფასებენ საზოგადოებრივ კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში შექმნილ მატერიალურ-ტექნიკურ პირობებს, პროფესიული მასწავლებლების მოღვაწეობას, პროფესიული პროგრამების ადმინისტრირების ხარისხს და თვლიან, რომ სტუდენტები კოეჯში იღებენ რეგიონის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროფესიულ ცოდნას.~

კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა შემდეგი რეკომენდაციებისთვის:

- პროგრამის სწავლების საწყის ეტაპზე განემარტოს სტუდენტებს პროგრამის შინაარსი და მოდულების თანმიმდევრობის ლოგიკა;
- დარეგულირდეს სტუდენტების მიერ სწავლების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების წვდომის პროცესი;
- მოხდეს კოლეჯის ბიბლიოთეკის სასწავლო რესურსების გამდიდრება.